ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2583714

ნომერი: AR1401150

თარიღი : 28.04.2016

გაცემის თარიღი : 11.05.2016

გაცნობის თარიღი : 20.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირმა ბოსტოღანაშვილი პ/ნ 14001013578
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 17 ბ. 31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) დაცვის ჯიხურის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, მოსკოვის გამზირი #2, შ.პ.ს. "ქართლი უნივერსალ სერვისი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 01.17.12.002.044), I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) დაცვის ჯიხურის განთავსებაზე წერილობითი თანხმობის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "ქართლი უნივერსალ სერვისი"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.17.12.002.044, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016141496 10/03/2016წ. ასევე წარმოდგენილი მინდობილობა და ფოტომონტაჟი), ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, მოსკოვის გამზირი #2, შ.პ.ს. "ქართლი უნივერსალ სერვისი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 01.17.12.002.044), I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) დაცვის ჯიხურის განთავსებაზე წერილობითი თანხმობის გაცემის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.